ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №6804711

ნომერი: AR11002948

თარიღი : 27.11.2023

გაცემის თარიღი : 15.12.2023

გაცნობის თარიღი : 18.12.2023

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თეიმურაზ I-ს ქუჩა, N 6;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თენგიზი ესიავა პ/ნ 02001003670
- თბილისი. კრწანისის რაიონი, გიორგი გურამიშვილის ქუჩა # 36

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ოქტომბრის №6720104 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2023 წლის 27 ნოემბერს №AR11002948 განცხადებით მომართა თენგიზ ესიავამ და მოითხოვა სამსახურის 2023 წლის 20

ოქტომბრის №6720104 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2023 წლის 20 ოქტომბრის №6720104 ბრძანებით №01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2023 წლის 20 ოქტომბრიდან 2026 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით, კალენდარული გრაფიკის შესაბამისად. აღნიშნული ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირებულია შპს ბლოქსი თავდადებულზე (ს/ნ: 405626997).
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 20 ოქტომბრის №6720104 ბრძანებაში მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი“-ს ველში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა მესაკუთრის მითითებასთან დაკავშირებით. შესაბამისად ითხოვს საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ დაფიქსირდეს შპს ბლოქსი თავდადებულზე (ს/ნ:405626997).
სამსახურმა დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად (განცხადების რეგისტრაცია: 892023091091; მომზადების თარიღი: 09/10/2023 წ.) №01.10.06.001.293 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს ბლოქსი თავდადებულზე (ს/ნ: 405626997). აქედან გამომდინარე და ვინაიდან, სამსახურის 2023 წლის 20 ოქტომბრის №6720104 ბრძანების გამოცემის დროისთვის მესაკუთრედ უკვე შპს ბლოქსი თავდადებულზე (ს/ნ: 405626997) ფიქსირდებოდა, ზემოაღნიშნულ ბრძანებაში „მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი“-ს ველში მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ უნდა დაფიქსირებულიყო შპს ბლოქსი თავდადებულზე (ს/ნ: 405626997). თუმცა, ბრძანების “მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი-ს მესაკუთრეების ველში” ინფორმაცია აისახა ავტომატურად, განცხადების რეგისტრაციისას რუკაზე საპროექტო მიწის ნაკვეთის მონიშვნის დროს, საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მონაცემების შესაბამისად. აქედან გამომდინარე, მესაკუთრის მონაცემები პროგრამამ ავტომატურად აისახა სამსახურის 2023 წლის 20 ოქტომბრის №6720104 ბრძანებაში. ამასთან, დამკვეთის მონაცემებში შპს ბლოქსი თავდადებულზე (ს/ნ: 405626997) სწორად დაფიქსირდა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ოქტომბრის №6720104 ბრძანებაში და ბრძანების „მიწის ნაკვეთ(ებ)ი/ობიექტ(ებ)ი“-ს ველში საპროექტო მიწის ნაკვეთის მესაკუთრედ შპს აბგრეიდ ქონსთრაქშენის (ს/ნ:405542024) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს ბლოქსი თავდადებულზე (ს/ნ: 405626997).
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის 2023 წლის 20 ოქტომბრის №6720104 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 20 ოქტომბრის №6720104 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის